



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტექნო ფიქსი“

(ს/ნ 200275656)

21 ნოემბერი 2023

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	11
4. საქმიანობის უწყვეტობა.....	19
5. ძირითადი საშუალებები.....	20
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
7. ფული და ფულის ექვივალენტები	21
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
9. შემოსავალი.....	22
10. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები.....	22
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
12. არასაოპერაციო შემოსავალი.....	22
13. დაკავშირებული მხარეები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტექნო ფიქსის“ (შემდეგში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, აუდიტორული დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას.

ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში ასახული იყო, 15 688 490 და 13 956 175 ლარის ღირებულებებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან, დაკავშირებით.

აუდიტს წარმართავდით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ხოლო ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია აუდიტირებული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახულ

აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით
თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი, 2023 წ.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით
თბილისი, საქართველო
21 ნოემბერი, 2023 წ.

შპს "ტექნო ფიქსი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	757,502	731,454	643,574
არამატერიალური აქტივები		-	-	-
		757,502	731,454	643,574
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		13,956,175	15,688,490	14,551,538
წინასწარ გადახდილი გადასახადები		38,099	112,637	408,306
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,487,353	3,243,278	1,815,083
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3,332,330	2,325,340	2,994,514
		19,813,957	21,369,746	19,769,441
სულ აქტივები		20,571,460	22,101,200	20,413,015
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		17,944,349	14,299,626	12,531,976
		17,944,349	14,299,626	12,531,976
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,627,111	7,801,573	7,881,039
		2,627,111	7,801,573	7,881,039
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,571,460	22,101,200	20,413,015

 /შეიკვამით ოზდემირი/
 დირექტორი

 /ირინე ქურდოვანიძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	757,502	731,454	643,574
არამატერიალური აქტივები		-	-	-
		757,502	731,454	643,574
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		13,956,175	15,688,490	14,551,538
წინასწარ გადახდილი გადასახადები		38,099	112,637	408,306
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,487,353	3,243,278	1,815,083
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3,332,330	2,325,340	2,994,514
		19,813,957	21,369,746	19,769,441
სულ აქტივები		20,571,460	22,101,200	20,413,015
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		17,944,349	14,299,626	12,531,976
		17,944,349	14,299,626	12,531,976
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,627,111	7,801,573	7,881,039
		2,627,111	7,801,573	7,881,039
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,571,460	22,101,200	20,413,015



[Signature]
 /შეიკვამით ოზდემირი/
 დირექტორი

[Signature]
 /ირინე ჭურდოვანიძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წელი

	შენ.	2022	2021
შემოსავალი	9	27,558,473	26,188,785
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(19,058,706)	(18,033,973)
საერთო მოგება		8,499,767	8,154,812
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	10	(361,815)	(291,515)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,850,353)	(1,654,456)
საოპერაციო მოგება		6,287,599	6,208,840
არასაოპერაციო შემოსავალი	12	44,025	21,229
არასაოპერაციო ხარჯები	13	(12,434)	(1,307)
საპროცენტო ხარჯები, ნეტო		-	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		59,827	72,402
		91,418	92,324
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		6,379,017	6,301,164
მოგების გადასახადის ხარჯი		111,236	22,114
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		6,267,781	6,279,050

 /შეიპყამით ოზდემირი/
 დირექტორი

 /ირინე ქურდოვანიძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წელი

	შენ.	2022	2021
შემოსავალი	9	27,558,473	26,188,785
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(19,058,706)	(18,033,973)
საერთო მოგება		8,499,767	8,154,812
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	10	(361,815)	(291,515)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,850,353)	(1,654,456)
საოპერაციო მოგება		6,287,599	6,208,840
არასაოპერაციო შემოსავალი	12	44,025	21,229
არასაოპერაციო ხარჯები	13	(12,434)	(1,307)
საპროცენტო ხარჯები, ნეტო		-	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		59,827	72,402
		91,418	92,324
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		6,379,017	6,301,164
მოგების გადასახადის ხარჯი		111,236	22,114
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		6,267,781	6,279,050


/შეიქმამით ოზდემირი/
დირექტორი




/ირინე ქურდოვანიძე/
მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	12,531,976	12,531,976
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(4,511,400)	(4,511,400)
მოგება (+) / ზარალი (-)	-	6,279,050	6,279,050
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	14,299,627	14,299,627
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ზრდა/ შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(2,623,058)	(2,623,058)
მოგება (+) / ზარალი (-)	-	6,267,781	6,267,781
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	17,944,350	17,944,350

/შეიპყამით ოზდემირი/
დირექტორი


/ირინე ქურდოვანიძე/
მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	12,531,976	12,531,976
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(4,511,400)	(4,511,400)
მოგება (+) / ზარალი (-)	-	6,279,050	6,279,050
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	14,299,627	14,299,627
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ზრდა/ შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	(2,623,058)	-
მოგება (+) / ზარალი (-)	-	6,267,781	6,267,781
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	17,944,350	17,944,350


/შეიპყაბით ოზდემირი/
დირექტორი




/ირინე ქურდოვანიძე/
მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	2021
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	31,338,849	28,168,028
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	7,453	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(21,991,763)	(19,605,765)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(741,160)	(641,253)
საბანკო ხარჯები	(8,546)	(8,575)
გადახდილი გადასახადები	(4,827,949)	(4,131,926)
სხვა გადახდილი თანხები	(181,752)	(44,796)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	3,595,132	3,735,714
ძირითადი საშუალებების შეძენა	(128,586)	(124,558)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	32,349	5,500
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(96,237)	(119,058)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
გადახდილი დივიდენდი	(2,491,905)	(4,285,830)
გადახდილი სესხის პროცენტები	-	-
გადახდილი სესხი	-	-
მიღებული სესხი	-	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(2,491,905)	(4,285,830)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	1,006,990	(669,174)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,325,340	2,994,514
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,332,330	2,325,340

 /შეიკვამით ოზდემირი/
 დირექტორი

 /ირინე ქურდოვანიძე/
 მთავარი ბუღალტერი

შპს "ტექნო ფიქსი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	2021
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	31,338,849	28,168,028
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	7,453	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(21,991,763)	(19,605,765)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(741,160)	(641,253)
საბანკო ხარჯები	(8,546)	(8,575)
გადახდილი გადასახადები	(4,827,949)	(4,131,926)
სხვა გადახდილი თანხები	(181,752)	(44,796)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	3,595,132	3,735,714
ძირითადი საშუალებების შეძენა	(128,586)	(124,558)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	32,349	5,500
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(96,237)	(119,058)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
გადახდილი დივიდენდი	(2,491,905)	(4,285,830)
გადახდილი სესხის პროცენტები	-	-
გადახდილი სესხი	-	-
მიღებული სესხი	-	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(2,491,905)	(4,285,830)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	1,006,990	(669,174)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,325,340	2,994,514
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,332,330	2,325,340



შეიკრებილია ოზდემირი/
დირექტორი

ი. ჯუღაშვილი

/ირინე ჟურდოვანიძე/
მთავარი ბუღალტერი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტექნო ფიქსი“ (ს/ნ 200275656) (შემდგომში - კომპანია) არის 2009 წლის 17 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ხოშარაულის ქ., №25.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მოწყობილობებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის პარტნიორი	31.დეკ.22	31.დეკ.21	31.დეკ.20
მეკმეთ მუსტაფა აქდემირ U35383789, 54427303558, TR-VN ^o 537166 /თურქეთი/	100.00%	100.00%	100.00%
სულ:	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო შეიკვამით ოზდემირი.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მატერიალურ აქტივებს, რომლებიც:

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღირების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;
- დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღირების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

3.2 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძაღოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმი ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და

3.3. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

3.3. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს

3.4. მარაგები (გაგრძელება)

მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

(გაგრძელება)

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

3.7. ამონაგები (გაგრძელება)

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 17,786,847 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა არ გამოიწვევს შემდგომში კომპანიის ლიკვიდურობის შემცირებას და კომპანია უწყვეტად გააგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობის 2022 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2021	520,000	42,294	225,586	787,880
შემოსვლა	-	9,925	117,310	127,235
გასვლა	-	(10,762)	(1,307)	(12,069)
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	520,000	41,457	341,589	903,046
ისტორიული ღირებულება 01.01.2022	520,000	41,457	341,589	903,046
შემოსვლა	-	9,008	86,841	95,849
გასვლა	-	(3,419)	(12,434)	(15,853)
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	520,000	47,046	415,996	983,042
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	-	(20,758)	(123,548)	(144,306)
ცვეთა	-	(10,486)	(16,800)	(27,286)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(31,244)	(140,348)	(171,592)
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	-	(31,244)	(140,348)	(171,592)
ცვეთა	-	(5,627)	(48,321)	(53,948)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	(36,871)	(188,669)	(225,539)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 01.01.2021	520,000	21,537	102,037	643,574
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	520,000	10,213	201,241	731,454
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	520,000	10,175	227,327	757,502

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,046,281	4,886,714	3,164,104
გადახდილი ავანსები	206,703	32,720	224,836
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები	(1,765,631)	(1,676,156)	(1,573,857)
	2,487,353	3,243,278	1,815,083

არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	< 30	31-60	61-90	91-180	180-360	>360	Total
პროცენტულობა	-	2	5	25	50	100	
მოთხოვნები	934,219	607,729	193,229	254,589	752,695	1,303,820	4,046,281
დასარეზერვებელი თანხა	-	(12,155)	(9,661)	(63,647)	(376,348)	(1,303,820)	(1,765,631)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,536,666	1,408,530	2,117,095
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,217,495	175,831	432,629
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	377,352	158,959	43,792
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	200,818	582,021	400,999
	3,332,330	2,325,340	2,994,514

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
კრედიტორული დავალიანება	2,612,819	7,795,513	7,874,060
მიღებული ავანსები	14,291	6,061	6,979
	2,627,111	7,801,573	7,881,039

9. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	27,469,610	26,098,997
შემოსავალი იჯარიდან	88,863	89,788
	27,558,473	26,188,785

10. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	2022	2021
მარკეტინგული ხარჯები	280,483	199,019
მიწოდების ხარჯები	81,332	92,496
	361,815	291,515

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	949,104	817,545
საიჯარო ქირა	451,407	488,631
შესაძლო დანაკარგების რეზერვები	89,475	102,298
ცვეთა და ამორტიზაცია	53,948	27,286
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	53,852	47,650
მარაგების დანაკლისი	21,079	-
სარემონტო ხარჯები	20,640	17,118
საპენსიო გადასახადის ხარჯი	18,542	15,979
იურიდიული მომსახურების ხარჯი	18,030	17,490
საოფისე ხარჯი	17,882	26,444
დაცვის მომსახურების ხარჯი	17,085	12,972
სავალდებულო დაზღვევის ხარჯი	15,340	7,802
ბანკის საკომისიო	8,542	8,579
საკანცელარიო ხარჯი	5,490	6,746
სხვა საერთო ხარჯი	109,938	57,916
	1,850,353	1,654,456

12. არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი d/ს რეალიზაციიდან* **	39,849	5,500
სადაზღვეო ზარალიდან მიღებული შემოსავალი	4,176	-
კოვიდის საშემოსავლო შეღავათიდან მიღებული შემოსავალი		15,729
	44,025	21,229

12. არასაოპერაციო შემოსავალი (გაგრძელება)

* 2022 წელს მოხდა 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, რომელთა ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 12,434 ლარი.

** 2021 წელს მოხდა 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, რომლის ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 1,307 ლარი.

13. არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
რეალიზებული d/ს თვითღირებულება* **	12,434	1,307
	-	-
	12,434	1,307

* 2022 წელს მოხდა 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, რომელთა ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 12,434 ლარი.

** 2021 წელს მოხდა 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია, რომლის ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 1,307 ლარი.

14. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი, ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტრორობებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

15. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-12-2022	31-12-2021
დირექტორი	-	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
დირექტორი	-	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
დირექტორი	90,000	90,000
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	-	-

Techno Fix

მმართველობითი

ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ

საწარმოს დასახელება:

რეგისტრაციის თარიღი:

საწარმოს იურიდიული/ფაქტ. მისამართი:

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

დარგი:

მთლიანი აქტივების ღირებულება:

საწარმოს პარტნიორი 100%:

საწარმოს დირექტორი/პარტნიორი:

შპს ტექნო ფიქსი

17 სექტემბერი 2009

ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ., №25

35

სასოფლო-სამეურნეო საბითუმო ვაჭრობა

20 მილიონზე მეტი

მეჰმეთ მუსტაფა აქდემირ

შეიკვამით ოზდემირ



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ტექნო ფიქსი“-ი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ საბითუმო მოვაჭრეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით საბითუმო ვაჭრობაში.

კომპანიის რეალიზაციამ 2022 წელს 27 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 5%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

რეალიზაცია, 2021 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2022 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან %
26,188,785	27,558,473	5%

გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების რეალიზაციაზე.

2022 წელს საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება შეადგენს 20,571,460 ლარს.



საწარმოში 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა - 35 ადამიანი.

პერსონალი, 2021 წელი ადამიანი	პერსონალი, 2022 წელი ადამიანი
35	35



საწარმო წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუტორს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ:

გადახდილი გადასახადები, 2022 წელი (ათასი) ლარი
5 011 690

ფინანსური ანგარიშგება

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება არაუმცირეს წელიწადში ერთხელ, რომლის აუდიტირება ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი არის საბუღალტრო/საფინანსო სამსახური.



..... შიდა კონტროლის მექანიზმები

კომპანიაში კონტროლი ხორციელდება რამოდენიმე სხვადასხვა ეტაპზე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში განზრახ, თუ უნებლიე შეცდომის დაშვების რისკს:

1) კომპანიაში განხორციელებული ყოველდღიური სამეურნეო ოპერაციები, კონტროლდება და აღირიცხება კომპანიის ფინანსური/საბუღალტრო ჯგუფის მიერ;

2) საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებების დამუშავებული და აღრიცხული ფინანსური მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მოწმდება და კონტროლდება კომპანიის შიდა აუდიტორის მიერ ყოველთვიურად;



3) საწარმოს საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებისა და შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი წლის ფინანსური ანგარიშგება მოწმდება და მტკიცდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

4) თავის მხრივ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება კიდევ ერთ კონტროლს გადის საწარმოს პარტნიორთა კრებაზე;

5) 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურობის გამართულობა პერიოდულად მოწმდება საწარმოს უფლებამოსილი პირების მიერ.



გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანიის მიზანია მინიმუმამდე შეამციროს მისი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმოო ნარჩენების გონივრული მენეჯმენტის კუთხით საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2022-2023 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.



მომავლის ხედვა

კომპანიის სამომავლო გეგმები მოიცავს პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ადგილობრივ ბაზარზე.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

01 აპრილი 2023

შპს „ტექნო ფიქსი“-ის დირექტორი

კომპანიის მიზანია მინიმუმამდე შეამციროს მისი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმოო ნარჩენების გონივრული მენეჯმენტის კუთხით საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2022-2023 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.

მომავლის ხედვა

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

შპს „ტექნო ფიქსი“-ის დირექტორი